ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1790279

ნომერი: AR1294881

თარიღი : 18.03.2015

გაცემის თარიღი : 25.03.2015

გაცნობის თარიღი : 25.03.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

პუშკინი 1-3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ხატიაშვილი პ/ნ 01010012373
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 221, კორპუსი 2, ბინა 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილათქვენი #1294881 (18.03.15წ.) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, პუშკინის ქ. #1-3–ის წინ ღიასაზაფხულო კაფის მოსაწყობადწერილობით ნებართვას, გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნულ მისამართზე არსებული შენობა, წარმოადგენს მშენებარე ობიექტს, შესაბამისად გაურკვეველია საიდან უნდა განხორციელდეს ღია კაფეს მომსახურება. საკითხის განხილვას სამსახური შეძლებს მას შემდეგ რაც დასრულდება აღნიშნული ობიექტის მშენებლობა და მიღებულ იქნება ექსლუატაციაში. ამასთან უნდა იქნეს წარმოდგენილი გენგეგმა ღია კაფეს განთავსების ადგილის და გაბარიტების ჩვენებით, ისე რომ სავალი ნაწილი აუთვისებელი დარჩეს მინიმუმ 1. 80 მ. ასევე წარმოსადგენი იქნება ღია კაფეს ესკიზი და ფოტომონტაჟი თუ როგორ ეწერება არსებულ გარემოში.

რადგან ტერიტორია მდებარეობსკულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი განხილულ იქნება საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. სამსახური გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.